## *წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა*

1. პოტენციური ბენეფიციარის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი.
2. დირექტორის ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში).
4. ნოტარიული წესით დამოწმებული დამფუძნებლების/პარტნიორების კრების ოქმი პროგრამაში მონაწილეობისა და სააგენტოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თაობაზე (იურიდიული პირის შემთხვევაში).
5. შესაძენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკაზე იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის მიერ პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოისი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე (ტექნიკის იმპორტის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი), რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   - მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დასახელება;
   - მახასიათებლები (მოდელი, ცხ.ძ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - გამოშვების წელი;
   - ექსპლუატაციაში არ ყოფნის შესახებ სტატუსი;
   - მწარმოებელი ქვეყანა;
   - დანიშნულება (აღწერილი უნდა იყოს თუ რა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება წარმოდგენილი ტექნიკა);
   - მხარეთა რეკვიზიტები;
   - მიწოდების ვადა (არაუმეტეს 5 თვის);
   - გადახდის პირობები;

***შენიშვნა:*** *ტექნიკის ადგილობრივი მომწოდებლის შემთხვევაში გადახდის პირობა აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას, რომ სააგენტოს თანადაფინანსების თანხის გადახდა მოხდება ტექნიკის მიწოდების შემდეგ. ასევე, ტექნიკის ღირებულება დაფიქსირებული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.*

6. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საგარანტიო დოკუმენტი (საგარანტიო პირობები უნდა ვრცელდებოდეს განაცხადის წარდგენიდან არანაკლებ 6 თვის ვადით) გაცემული მწარმოებლის ან/და მიმწოდებლის მიერ.
7. ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ.
8. თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი/ხელშეკრულება ბანკიდან შესაბამისი თანხის (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო დარჩენილი თანხა, გარდა პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსებისა) ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის/ლიზინგის/დამტკიცების თაობაზე.
9. საბანკო რეკვიზიტები.
10. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ.
11. სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.